ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 12132/01
10/12/2019

12132-01-2-201912100901

შპს „ჯეოსთილს“

მის: ქ. რუსთავი, დ. გარეჯის ქ. N36

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 27 ნოემბრის N17069 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (სილიკომანგანუმის სადნობი საამქროს მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში მოიცავს რიგ ხარვეზებს, კერძოდ:

- წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ჯეოსთილის“ საწარმოს მიმდებარედ ფიქსირდება უახლოესი საცხოვრებელი ობიექტი - ამხანაგობა „ერთგულება“, შესაბამისად დასაზუსტებელია არსებული და საპროექტო საწარმოს ტერიტორიიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე;
- დასაზუსტებელია საპროექტო ტერიტორიის ფართობი;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, შპს „ჯეოსთილზე“ 2007 წლის 21 აგვისტოს გაიცა N00084 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N24; 14.08.2007), რომლის თანახმადაც საწარმოს წლიური წარმადობა არის 175 000 ტ. ამასთან, იგივე წარმადობა ფიქსირდება სამინისტროს მიერ 2018 წლის 30 აგვისტოს გაცემულ N2-724 სკრინინგის გადაწყვეტილებაში. შპს „ჯეოსთილის“ მიერ წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციაში საწარმოს სრული წარმადობა შეადგენს 300 000 ტონას წელიწადში, რაც არ მოდის შესაბამისობაში ზემოაღნიშნული დოკუმენტაციებით გათვალისწინებულ წარმადობასთან და აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- შპს „ჯეოსთილის“ მიერ 2007 წელს წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში მეტალურგიული საწარმოს გენერალურ გეგმაზე (ნახაზი 3.1.1) ფიქსირდება საწარმოო ობიექტები, რომელიც სკოპინგის ანგარიშით წარმოდგენილ შპს „ჯეოსთილის“ საწარმოს გენ-გეგმაზე სილიკომანგანუმის საწარმოს გათვალისწინებით (ნახაზი 3.2.1) არ არის ასახული. ამასთან სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილ გენ-გეგმაზე შეინიშნება ობიექტები, რომელიც ზემოაღნიშნული

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

გზშ-ის ანგარიშის გენ-გეგმაზე არ არის დატანილი. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი საწარმოს გენერალური გეგმა ექსპლიკაციით არ არის წარმოდგენილი მაღალი გარჩევადობით, შესაბამისად ვერ ხდება ობიექტების სათანადო იდენტიფიცირება;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სრული ინფორმაცია საწარმოში არსებული თითოეული ობიექტის/საამქროს შესახებ;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, არაქმედების ალტერნატივის თავში (4.3) პროექტის განხორციელების პოზიტიურ შედეგად განხილულია მანგანუმის მადნის სამთომოპოვებითი საქმიანობის გააქტიურება და შესაბამისად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. აღნიშნული ვერ განიხილება დასაბუთებულ არაქმედების ალტერნატივად და საჭიროებს კორექტირებას;
- სკოპინგის დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია საწარმოს და საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილული არ არის წარმოქმნილი წიდის რაოდენობის და მართვის საკითხები, როგორც არსებული, ისე დაგეგმილი საწარმოსთვის.

აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, საქმიანობასთან დაკავშირებული სკოპინგის ანგარიში საჭიროებს გადამუშავებას.

ამასთან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 21 ოქტომბრის N7574 წერილით შპს „ჯეოსთილს“ ეცნობა, რომ სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნდა მეტალურგიული საწარმოს ნავთობპროდუქტებით და და სხვა ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული ჯართის შესაგროვებელი მოედნის მოწყობა განხორციელებულიყო შპს „ჯეოსთილის“ 2015 წლის 12 ოქტომბრის N20636 წერილით წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

აგრეთვე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის 31 ივლისის N5441 წერილით შპს „ჯეოსთილს“ ეცნობა, რომ სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნდა საწარმოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოწყობა განხორციელებულიყო თქვენ მიერ 2015 წლის N7080 წერილით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გადამუშავებულ სკოპინგის ანგარიშში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია ჯართის მოედნისა და სახანძრო სისტემის მოწყობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენი 2018 წლის 28 მაისის წერილის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა მეტალურგიული საწარმოს პროექტის 2007 წლის 14 აგვისტოს N24 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული N00084 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ფარგლებში საწარმოში ნედლეულისა და მზა პროდუქციის შეტანასთან და გატანასთან დაკავშირებულ საკითხებს, სამინისტროდან გეცნობათ, რომ საწარმოში ნედლეულის ძირითადი ნაწილის ტრანსპორტირება უნდა განხორციელებულიყო რკინიგზის საშუალებით. ამასთან სამინისტროს წერილში აღნიშნული იყო, რომ ავტოტრანსპორტით შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ სამშენებლო ობიექტებზე მზა პროდუქციის გატანა, რომლის დროსაც, ტრანსპორტირების მიზნით გამოყენებული შემოვლითი გზების საკითხი უნდა შეთანხმებულიყო სამინისტროსთან. განახლებულ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს აღნიშნული მოთხოვნის

გათვალისწინებით, ინფორმაცია ნედლეულის ტრანსპორტირების საკითხის შესახებ, როგორც მოქმედი, ისე დაგეგმილი საწარმოს ტერიტორიაზე.

ამასთან, 2007 წლის გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ლითონის გლინვის უბნიდან ლითონის გასაციებლად გამოყენებული წყალი მიეწოდება წყლის სალექარს, რომლის გაწმენდაც ხდება პერიოდულად, ამოღებული შლამის განთავსება კი ხდება საწარმოს ტერიტორიაზე. სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია სალექარის შესახებ, შესაბამისად განახლებულ სკოპინგის დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს ცნობები სალექარისა და მისგან ამოღებული შლამის გაუწყლოების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გეგმავს დაგეგმილი ცვლილების გათვალისწინებით ერთიანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას, რომელშიც გაერთიანებული იქნება არსებული და დაგეგმილი მეტალურგიული წარმოების მთლიანი ტექნოლოგიური ციკლი, საჭიროა სკოპინგის ანგარიშში განხილული იქნეს, როგორც არსებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საკითხები (მათ შორის საწარმოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით), ასევე დაგეგმილი ცვლილებები ერთიანი პროექტის სახით.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით დაიწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას მას შემდეგ, რაც შპს „ჯეოსთილი“ უზრუნველყოფს გადამუშავებული სკოპინგის დოკუმენტაციის წარმოდგენას ყველა ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე